

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი



თბილისი. დეკემბერი. 2006

№5

3. ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი
5. ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის სამეცნიერო მუშაობის პროგრამა
6. საქართველოს ეთნომუსიკა 2006
8. ახალი გამოცემები
10. ქართველი ეთნომუსიკოლოგები. თინათინ ჟვანია
12. ეთნომუსიკოლოგია. თინათინ ჟვანია ქართული ხემიანი საკრავი.
17. საქართველოს ფოლკლორული კოლექტივები. ბასიანი
19. საველე-შემკრებლობითი მუშაობა. ექსპედიცია სურებში (გურია)
21. შოთა ალთუნაშვილი: ამჟამად სანთლითაა საძებარი ნამდვილი, ძველი მესხური სიმღერა.
24. ერთი ქართული ხალხური სიმღერა. ალილო

ნომერი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

რედაქტორები:  
რუსუდან წურწუშია,  
თამაზ გაბისონია

მთარგმნელები:  
მანია კაჭკაჭიშვილი,  
კლემენტ პარი,  
ლორენ ნინოშვილი

დიზაინერები:  
ნიკა სებისკვერაძე,  
გიორგი კოკილაშვილი

კომპ. უზრუნველყოფა:  
თამაზ გაბისონია,  
კახა მაისურაძე

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული  
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2006

ISSN 1512-2883

სტამბა: „პოლიგრაფი“

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.  
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

www.polyphony.ge

# ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი

დასრულდა ტრადიციული მრავალხმიანობის III საერთაშორისო სიმპოზიუმი და დადგა განსჯის დრო. თავიდან უნდა ითქვას, რომ როგორც მის ერთ-ერთ ორგანიზატორს, მე მიმაჩნია, რომ ასეთი სამეცნიერო ფორუმები ინტეგრაციის, მსოფლიო მუსიკალურ-სამეცნიერო პროცესებში ჩართვის შესანიშნავი საშუალებაა და ჩვენ წინ ნამდვილად გადავდგით ნაბიჯი ამ მიმართულებით. მკითხველი ჩვენი ბიულეტენის ფურცლებზე გაეცნობა მოხსენებათა დასახელებებს, ასე, რომ თავს არ შეგაწყენთ სიმპოზიუმის თემატიკაზე ბევრი საუბრით. მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავ – საზოგადოდ, მეცნიერებს ურჩევნიათ დიდხანს იკამათონ ამა თუ იმ საკითხზე, ჩაუღრმავდნენ ერთ პრობლემას, დაინახონ იგი სხვადასხვა კუთხიდან, იმსჯელონ კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებზე. მეც, უნდა გამოვიტყდეთ, ასეთი შეხვედრები უფრო მიზიდავს. თუ ამ თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ჩვენი სიმპოზიუმები, რომლებიც მრავალხმიანობის პრობლემებს ეძღვნება, თემატიკურად, ჯერ-ჯერობით ძალიან ფართოა. უკვე ჩატარებულ სამ სიმპოზიუმზე საკითხების დიდი წრე და შესაბამისად, ფართო გეოგრაფიული არეალი იყო წარმოდგენილი. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა – ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ჩვენ აქამდე ნაკლებად ვიცნობდით მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მუსიკალურ კულტურას, გვსურდა ქართული მუსიკალური ფოლკლორი მათს კონტექსტში წარმოგვეჩინა. მეორე და არა ნაკლებად მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ, თუ ძალიან გულახდილი ვიქნები, გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი მკვლევარი მოგვეზიდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და მათთვის ჩვენი მრავალხმიანი კულტურის უნიკალური სამყარო გაგვეცნო. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართული ეთნომუსიკის მცოდნეობა (უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი – ფოლკლორისტიკა, რადგან ქართველი მკვლევარები, სწორედაც რომ, ფოლკლორისტული მეთოდებით მუშაობენ და არა ეთნომუსიკოლოგიურით) მხოლოდ დღეს აცნობს თავს მსოფლიოს და მოვალენი ვართ გარემოებისა და შესაფერის სიმაღლეზე ვიყოთ. ამისთვის კი ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ერთი სიტყვით, სიმპოზიუმმა, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ჩემი აზრით, სათანადო დონეზე ჩაიარა. ოთხი დღის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მეცნიერები მსოფლიოს 15 ქვეყნიდან – ავსტრიიდან, ავსტრალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, იაპონიიდან, იტალიიდან, კანადიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, ხორვატიიდან და საქართველოდან – მსჯელობდნენ მრავალხმიანობის გენეზისზე, მისი ჩაწერის მეთოდებზე, საარქივო ჩანაწერების შესახებ. განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მრავალხმიანობის რეგიონული სტილები, მათ შორის პირველად – ხმელთაშუაზღვის არეალისა.

25 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მოეწყო საქართველოში ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების ინიციატივის სამწლიანი პროექტის დასრულებისადმი მიძღვნილი ფილმის პრეზენტაცია. ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა ინიციატივის მისამართით, რადგან ეს პროექტი დიდი სტიმული გახდა საქართველოს მთავრობისათვის მუსიკალური ფოლკლორის მოვლა-პატრონობაზე ზრუნვის გასაძლიერებლად. ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წელს მილიონზე მეტი ლარი გამოჰყო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის მხარდასაჭერად. სწორედ ამ პროგრამიდან დაფინანსდა ტრადიციული მრავალხმიანობის III საერთაშორისო სიმპოზიუმიც.

სიმპოზიუმს თან ახლდა საკონცერტო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული საოჯახო და სოფლის ანსამბლები. აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერის უცხოური ანსამბლები – მასპინძელი დიდი ბრიტანეთიდან, დარბაზი და ზარი კანადიდან, მარანი და ირინოლა საფრანგეთიდან, იამაშიროგუმი იაპონიიდან. ამას გარდა, სიმპოზიუმის სტუმრებს შორის იყო კვარტეტი საფრანგეთის ბასკეთიდან, რომელმაც პირველად საქართველოში წარმოადგინა ბასკური სიმღერა.

ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ ქართული ხალხური სიმღერის უცხოური ანსამბლების ენუზიანს და მიგვაჩნია, რომ ისინი ქართული კულტურის დესპანები არიან თავიანთ ქვეყანაში. მხოლოდ სიყვარული მოგცემს ძალას მოიპოვო სახსრები საქართველოში ჩამოსასვლელად, იმისათვის, რომ შენი სულის ნაწილი გაუზიარო ქართველ მსმენელს. ასეთი ანსამბლების არსებობა ქართული მრავალხმიანობის საყოველთაო კულ-



### ანსამბლი დარბაზი სიმპოზიუმის კონცერტზე

ტურული აქტუალობის დასტურია და ჩვენ განსაკუთრებით ვუფროსხილდებით ამ ურთიერთობებს.

28 სექტემბერს სიმპოზიუმის მონაწილე უცხოელი მეცნიერები გაემგზავრნენ ქუთაისში, სადაც ქალაქის მერმა მათ მიღება მოუწყო. დაათვალიერეს გელათი, ვანში მოუსმინეს ადგილობრივ ანსამბლს და იმავე საღამოს, შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდნენ თბილისში. 29 სექტემბერს, საზეიმო დასურვის საღამოს სტუმრებისა და მონაწილე უცხოური და ადგილობრივი ანსამბლებისათვის გაიმართა მიღება, რომელზეც კვლავ ჟღერდა ქართული სიმღერები. მონაწილეებმა საჩუქრად მიიღეს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის ბოლო გამოცემები – II საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული ქართულ-ინგლისურ ენებზე, კომპაქტდისკი 1952 წლის კახეთის ექსპედიციის ჩანაწერით, ბიულეტენის ახალი (IV) ნომერი. გარდა ამისა, ისინი დიდად გაახარა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისა და პირადად ბ-ნი ანზორ ერქომაიშვილის საჩუქარმა - ერქომაიშვილების უნიკალურმა სანოტო კრებულმა.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შევაჯამეთ შედეგები. ჩვენ, ცხადია, ყველაზე უკეთ ვგრძნობთ, სიმპოზიუმს რა ხარვეზები ჰქონდა, რომელთაგან ზოგიერთის გამოსწორება უფრო ადვილად შეიძლება (მაგალითად, ზოგიერთი ინგლისური ტექსტის ქართული თარგმანის ხარისხის გაუმჯობესება, ვიდრე ჩვენების დროს ფანჯრების დაბნელება, ტექნიკური ხარვეზები, რომელიც, სხვათა შორის, ყოველთვის ჩვენი მიზეზით არ ხდებოდა), ზოგიერთისა – სერიოზულ ფიქრს მოითხოვს. მაგალითად, სიმპოზიუმის თემატიკის მეტი მიზანმი-

მართულება, რაც, შესაძლოა, მონაწილეთა რაოდენობას შეამცირებს, მაგრამ გაზრდის დისკუსიისათვის განკუთვნილ დროს. ცხადია, არის სხვა მრავალი წვრილმანიც, რომელთა გათვალისწინების გარეშე ასეთი მასშტაბური კულტურული მოვლენა ვერ შედგება. ასე, რომ მომდევნო სიმპოზიუმისათვის საფიქრალი ბევრია.

ჩვენთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ სიმპოზიუმში გვაძლევს უნიკალური საერთაშორისო პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. I სიმპოზიუმზე ამერიკელი მეცნიერის სტივენ ბრაუნის მიერ შემოთავაზებული პროექტი, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. ამჟამად ბატონებმა დრ. სიმპა არომმა და დრ. პოლო ვალე-ჰომ გამოთქვეს სურვილი თბილისის კონსერვატორიის ორი სტუდენტი მიიღონ საფრანგეთში დრ. სიმპა არომის მიერ შემუშავებული მრავალხმიანობის ჩაწერის მეთოდის შესასწავლად. ჩვენ ამ პროექტის განხორციელება მეტად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, რადგან ჩაწერის ეს მეთოდი იდეალურია სწორედ რთული მუსიკალური სტრუქტურის მქონე ნიმუშების მაქსიმალური სიზუსტით გასაშიფრად, ქართული სასიმღერო შემოქმედება კი, მოგვსენებათ ასეთი ნიმუშებით მეტად მდიდარია, ხოლო მათი გაშიფვრის მეთოდები, სამწუხაროდ, არც თუ სრულყოფილი.

და ბოლოს, მინდა შევეუერთდე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს, პროფ. მანანა დოიჯაშვილს, რომელმაც სპეციალური განკარგულებით მადლობა გამოუცხადა კონსერვატორიის ყველა იმ თანამშრომელსა და სტუდენტს, ვინც რაიმე წვლილი შეიტანა სიმპოზიუმის ორგანიზებასა და ჩატარებაში.

ტრადიციული მრავალხმიანობის III საერთაშორისო სიმპოზიუმი ფართოდ გაშუქდა მედიაში. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და ტელეარხმა იმედო, ქალაქის მერიამ, სატრანსპორტო გაერთიანებამ უნივერსალი. მხარდამჭერთა შორის იყო აგრეთვე ამერიკული გამომცემლობა ნოვა საიენს პაბლიშერი.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნი მიხეილ სააკაშვილს, რომლის პატრონაჟითაც გაიმართა სიმპოზიუმი და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, რომელმაც დააფინანსა მისი ჩატარება კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და საქართველოს პრეზიდენტის ფოლკლორის ნაციონალური პროგრამების ფარგლებში.

**რუსუდან წურჭუბია**  
**ტიმქსც-ის ხელმძღვანელი**

# ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის სამეცნიერო მუშაობის პროგრამა

პოლიფონია პოლირიტმიის საშუალებით –  
**სიმპა არომი** (საფრანგეთი)

რიტმის წარმოშობა: მრავალხმიანობის სა-  
კითხები და თავდაცვის სტრატეგია ადამიანის  
ეკოლუციაში – **იოსებ ჟორდანი** (ავსტრალია)

ცნება მრავალხმიანობა და ქართული ხალხუ-  
რი მუსიკა – **თამაზ გაბისონია** (საქართველო)

მუსიკალური ჰარმონიის სადარი ქართული  
ცნება მორთულების შესახებ იოანე პეტრიწის  
თხზულებებში – **ნინო ფირცხალავა** (საქართვე-  
ლო)

ფოლკლორი, როგორც ეროვნული იდენტიფი-  
კაციის წყარო მუსიკაში – **ანა პიოტროვსკა**  
(პოლონეთი)

მრავალხმიანი სიმღერა ხორვატიაში – ად-  
რიატიკის კუნძულების ვოკალური ტრადიცია –  
**იოსკო კალეტა** (ხორვატია)

დალმატიური კლაპა სიმღერის ადგილობრი-  
ვი სტილები – **იაკუა პრიმორაცი** (ხორვატია)

ორი რეპერტუარი, მრავალხმიანი სიმღერის  
ორი სტილი: ტრალალერო (მრავალხმიანი სიმ-  
ღერა) და კანტო ა ბორდონე (გაბმული ბანით  
სიმღერა) ლიგურია, იტალია – **მაურო ბალმა**  
(იტალია)

მრავალხმიანი სიმღერა სამხრეთ-დასავლეთ  
ბულგარეთის ქალთა რიტუალებში – **რუჟა ნე-  
იკოვა** (ბულგარეთი)

I სახის ქართული კადანსის კილო-ინტონა-  
ციური წყობის თავისებურებები – **ვლადიმერ  
გოგოტიშვილი** (საქართველო)

კანტუკეტან – ბასკური ტრადიციული სიმ-  
ღერის სამყარო – **პანჩოა ერეგონი** (ესპანეთი)

ქართული საძეობო სიმღერები – **ნატო ზუმ-  
ბაძე** (საქართველო)

ტუმბა რეფრენის მქონე ორიგინალური სიმ-  
ღერების ძიება და მათი ინტერპრეტაცია – **ლა-  
ივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე** (ლიტვა)

აჭარულ-შავშური მაცრულები – **თონა რუ-  
ხაძე** (საქართველო)

რუსული სასიმღერო მრავალხმიანობის გა-  
უთვალისწინებელი ტიპი – **მიხეილ ლობანოვი**  
(რუსეთი)

მრავალხმიანი ვოკალური ტრადიცია კუნძულ  
ფლორესზე (ინდონეზია), ცენტრალურ-დასავ-  
ლეთ ბულგარეთსა და კუნძულ ბალუანზე (მა-  
ნუს პროვინცია, პაპუა ახალი გვინეა): შედარება  
– **ჯერალდ ფლორიან მესნერი** (ავსტრალია)

ვაგოგო ხალხის (ტანზანია) მუსიკა და ლო-  
გიკა – **პოლო ვალეპო** (ესპანეთი)

ფოლკლორული ექსპედიციის სიახლეები.  
აჭარა, 2005 – **ოთარ კაპანაძე** (საქართველო)

ვირტუალური მრავალხმიანი მუსიკის მავა-  
ლითები და მათი ფსიქოაკუსტიკური საფუძველი  
– **ფრანც ფოიდერმარი** (ავსტრია)

მუსიკალურ ბგერებში არსებული არასმენადი  
მალალი სინშირის კომპონენტის აღქმის ბიოლო-  
გიური მექანიზმი – **ემი ნიშინა, ნორიე კავაი, მა-  
ნაბუ ჰონდა, რეიკო იაგი, მასაკო მორიმოტო,  
სატოში ნაკამურა, ტადაო მაეკავა, იომიჰარუ  
იონეკურა, ჰიროში შიბასაკი და ცუტომუ ოოჰა-  
ში** (იაპონია)

სქესის მნიშვნელობა ქართული მრავალხმი-  
ანი სიმღერის იმპროვიზაციული ბუნების შესწავ-  
ლაში – **ნინო ციციშვილი** (ავსტრალია)

ტრადიციის უცვლელობა თბილისური ანსამ-  
ბლების მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ  
მრავალხმიან სიმღერებში – **ანდრეა კუზმიჩი**  
(კანადა)

ქართული საგალობლების ალდგენა-რესტავ-  
რაცია – ქართული სამგალობლო სკოლის ერთ-

ერთი პრიორიტეტი – **მაღსაზ ერქვანიძე** (საქართველო)

შესვლადი ქართულ საეკლესიო გალობაში – **დავით შულღიაშვილი** (საქართველო)

ქართული ტრადიციული სუფრის ლიტურგიული ბუნება და საწყისები. სუფრული სიმღერები, სადიდებლები და სალხინო საგალობლები ტრადიციულ-ყოფითი კულტურის კონტექსტში – **მანანა შილაკაძე, ნინო ღამბაშიძე, გიორგი გოცირიძე** (საქართველო)

ქართული პოლიფონია 21-ე საუკუნის ინგლისურ ლიტურგიულ მუსიკაში – **ლორენ ნინოშვილი** (აშშ)

არქივები, ტექნოლოგია, კვლევა, სახელმწიფო – **დიტერ ქრისტენსენი** (აშშ-გერმანია)

მრავალხმიანობა ბერლინის ფონოგრამარქივის ისტორიულ ჩანაწერებში – **სიუზან ცივლე-რი** (გერმანია)

ბუნარელი და ქართველი ებრაელები ვენაში – **გერდა ლეხლაიტნერი, ნონა ლომიძე** (ავსტრია)

ქართული სიმღერა, ტრანსკრიფცია და კომპიუტერი – **ნონა ლომიძე** (ავსტრია)

ქართული ცვილის ლილვაკების კოლექცია – ჩაწერის ტექნოლოგია და რესტავრაციის რეკომენდაციები – **ფრანც ლეხლაიტნერი** (ავსტრია)

საქართველოში დაცული ცვილის ლილვაკების კოლექცია – **რუსუდან წურწუშია**



სიმბოზიუმის სხდომაზე

## საქართველოს ეთნომუსიკა 2006

**3 მარტიდან 12 აპრილამდე** ანსამბლ *რუსთაჟა* ჩაატარა საგასტროლო ტურნე. ანსამბლი 23 კონცერტით წარდგა ლიბევის, ესტონეთის, ფინეთის და შვედეთის დედაქალაქებსა და სხვა ქალაქებში.

**25-28 აპრილს** თბილისში გაიმართა I საერთაშორისო საადღგომო ფესტივალი *ამაღლე-ბა*, რომლის დამფუძნებლები არიან საქართველოს საპატრიარქო და აკაკი რამიშვილის ფონდი *ტრადიცია და ინოვაცია*. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს მგალობელთა გუნდებმა, ფოლკლორულმა ანსამბლებმა (*ბასიანი, ქართული ხმები, ბედიანი*, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი).

**5-12 მაისს** საპროდიუსერო კომპანიამ „არტ-რუსთავი“ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩაატარა ქართული ცეკვისა და სიმღერის ფესტივალი *ქართული სული*.

**5 მაისს** ჩატარდა ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სადამო.

**9 მაისს** შედგა ქართული სიმღერის საღამო *ჩაკრულო*. მონაწილეობდნენ ანსამბლები: *ქართული ხმები, ფესვები, თბილისი, ალილო, სიმი, ბათუმი, მძლევალი*.

**27-29 მაისს** ანსამბლი *ბასიანი* გასტროლებით იმყოფებოდა შვეიცარიაში, სადაც ჩაატარა სამი კონცერტი: 27 – ქ. ნევიშატელში, 28 – ტოგენბურგში ფესტივალზე *Naturstimmen*, 29 – ქ. ციურიხში.

**14 ივნისს** ანსამბლი *ბასიანი* კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საანგარიშო კონცერტით წარდგა ქართველი მაცურებლის წინაშე.

**14-23 ივლისს** თბილისში, კუს ტბაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა ხალხური ფესტივალი *არტ-გენი-2006*, სადაც წარმოდგენილი იყო ხალხური სიმღერა, ცეკვა, ლექსი, ტრადიციული სამხედრო ხელოვნება, ტრადიციული მედიცინა, ადგილობრივი სამზარეულო; მოეწყო ფო-



### ფოლკლორის დათვალიერება. მესხეთის ანსამბლი ქართლი

ტოგამოფენები, ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება, კლასიკური, ჯაზური და ხალხური მუსიკის კონცერტები. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ანსამბლები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან: გურჯაანი, ოქროს სტუმრები, შავნაბადა, იაღონი, თუთარჩელა, იმერეთი, ხორუმი, დიდგორი, ჩვენებურები, კიცხის უხუცესთა ანსამბლი ოდოია, ლაზარე, აიდიო, ურბული, ეთნომუსიკის თეატრი მთიები, მაფშალია, ზუმბალენდი, მომღერლები რაჭიდან, აჭარიდან, სვანეთიდან; ასევე ბაიარ შაჰინ-გუნდარიძე (მაჭახელი, თურქეთი).

**16-19 სექტემბერს** ანსამბლ ბასიანმა იმოგზაურა საფრანგეთში. 16 სექტემბერს მან კონცერტი გამართა პარიზში გამართულ ფესტივალზე D'ile De France. 17 სექტემბერს კი ქ. ტულონში ქართული საგალობლებით წარდგა ფრანგი მსმენელის წინაშე.

**25-29 სექტემბერს** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა ჩაატარა III საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ავსტრალიიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, ხორვატიიდან, ესპანეთიდან, ლიტვიდან, იაპონიიდან, კანადიდან, და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

კონცერტებში მონაწილეობდნენ ანჩისხატის ტაძრის გუნდი, მზეთაძე, ბასიანი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლი, მთიები, რუსთავი, სახიობა, სალოტბარო სკოლის მომღერლები სამეგრელოდან, გორის ქალთა კამერული გუნდი; ანსამბლები უცხოეთიდან: დარბაზი (კანადა), ზარი (კანადა), ერუშკა (საფრანგეთი), ირინოლა (საფრან-



### ფოლკლორის დათვალიერება. ხალხური მომღერალი ქორო კაციაშვილი

გეთი), მარანი (საფრანგეთი), მასპინძელი (დიდი ბრიტანეთი), გეინო იამაშიროგუმი (იაპონია).

**2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე** საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ფოლკლორის მხარდაჭერის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ჩაატარა ქართული ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი.

**1-2 ოქტომბერს** თბილისის საოპერო თეატრში ჩატარდა ფესტივალის დასკვნითი ტური – ლაურეატთა კონცერტი. მუსიკისა და ქორეოგრაფიის დარგში 79 ლაურეატი გამოვლინდა (საოჯახო ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ავთენტიკური ჯგუფები, სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები). ლაურეატებს გადაეცათ დიპლომები, გამოიცა ფესტივალის ლაურეატთა ბუკლეტები.

**29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი** უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კა-



### ფესტივალი ჩვენებურები. ანსამბლი საინგილოდან (აზერბაიჯანი)



**ფესტივალი ჩვენებურები, ქართველი მგალობლები საფრანგეთიდან**

თოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, კავშირმა საერთაშორისო ფესტივალი ჩვენებურები, ჩაატარა III საერთაშორისო ფესტივალი ჩვენებურები. ფესტივალის გახსნა შედგა ვაკის პარკში, ჩატარდა ოფიციალური შეხვედრები, გამოფენა, პრეზენტაცია, კონცერტები რუსთავში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და გალაკონცერტი თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ფესტივალის სტუმრები იყვნენ საბერძნეთის, კვიპროსის, პოლანდიის, ესტონეთის, საფრანგეთის, თურქეთის, კორეის, რუსეთის, ფერეიდანის (აზერბაიჯანი) ქართული ან ქართული სიმღერის მოყვარულთა ანსამბლები.

ოქტომბერში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდის [www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge) ბმულზე განთავსდა ქართული ხალხური მუსიკის მონაცემთა ბაზის ინტერნეტვერსია.

ბმული ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისურენოვანია, მაგრამ იხსნება მთავარი გვერდის როგორც ინგლისური, ასევე ქართული ვერსიიდან. ბაზაში 187 ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების რჩეული ნიმუშია განთავსებული, რომლებიც, სხვადასხვა დროს, საველე-შემკრებლობითი მუშაობის პირობებში უშუალოდ ეთნოფორებისგანაა ჩაწერილი.

**მომზადდა ნინო ნაკაშიძემ**



ტმმსც-ს მონაცემთა ბაზის ინტერნეტვერსია

# ახალი გამოცემები

გამოიცა ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები (2005) ქართულ და ინგლისურ ენებზე. კრებულში შესულია 2004 წლის 23-27 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარებული სიმპოზიუმის მასალები. კრებულის რედაქტორები არიან რუსუდან წურწუშია და იოსებ ფორდანი. გამოცემის კოორდინატორია ქეთევან ბაქრაძე; გარეკანის მხატვარი – ნიკა სებისკვერაძე. კრებული გამოსცა კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა.



გამოიცა ლევან ვეშაპიძის გაშიფრული სიმღერების მის მიერვე შედგენილი სანოტო კრებული გურული ხალხური სიმღერები, რომელიც ეძღვნება კუკური (ვესევი) ჭოხონელიძის – რედაქტორისა და წინასიტყვაობის ავტორის – ხსოვნას. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გოჩა ბალაგაძეს; მთარგმნელები – ქეთევან კალანდაძე და მაია კაჭკაჭიშვილი; თარგმანის რედაქტორი – ჯონ გრემი. კრებულში შესულია 63 გურული სიმღერა, მათ შორის ხასანბეგურას და ჩვენ მშვიდობის 6-6 ვარიანტი. ყველა სიმღერას დართული აქვს მცირე ინგლისური ანოტაცია (ჟანრი და ინგლისური ტექსტი). კრებულს ახლავს 24 გურული სიმღერისგან შემდგარი კომპაქტდისკი. გამოსაცემად რეკომენდებულია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალ-



სური მუსიკალური შემოქმედების კათედრის მიერ (ქართულ და ინგლისურ ენებზე).



გამოვიდა კომპაქტდისკი **ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით. (2006)**. ანჩისხატის გუნდი. ლოტბარი მალხაზ ერქვანიძე. 31 საგალობელი ჩაწერილია 2005 წელს თბილისის მამა დავითის მონასტერში, რაფაელ ანტონიო გალვეს გარსიას მიერ. დიზაინი ეკუთვნის გიორგი ბაგრატიონს. თან ერთვის ბუკლეტი მცირე წინასიტყვაობითა და ინგლისური ანოტაციით (ქართულ და ინგლისურ ენაზე).

გამოვიდა სანოტო კრებული **ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით. (2006)**. მეორე გამოცემა. ნოტებზე გადაიღო, შეადგინა



და წინასიტყვაობა და ანოტაციები დაურთო დავით შულღიაშვილმა. სანოტო ტექსტი ააწყო და დააკაბადონა ლევან ვეშაბიძემ; მხატვრული გაფორმება გიორგი ბაგრატიონის; ინგლისური თარგმანი – ია იაშვილის; თარგმანის რედაქტორი – ჯონ გრემი. კრებულში შესულია 118 საგალობელი, რომლებსაც თან ახლავს ტექსტების ინგლისური თარგმანი. გამოსაცემად მომზადდა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის საარქივო მასალების მიხედვით. თბილისი: შ.პ.ს. იოტა (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

გამოვიდა **საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორულ ანსამბლ ბასიანის** (ხელმძღვანელი გიორგი დონაძე) კომპაქტდისკი, რომელშიც შესულია 17 ხალხური სიმღერა და ორი საეკლესიო საგალობელი. დისკის ხმის რეჟისორია მიხეილ კილოსანიძე. ანოტაცია ეკუთვნის ანზორ ერქომაიშვილს, ინგლისური თარგმანის ავტორები არიან – ლუარსაბ ტოგონიძე და ჯონ გრემი. გამოცემის სპონსორები არიან თბილისის მერია და ფირმა *კაპაროლი*.



ქუთაისის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობითა და დაფინანსებით გამოსცა **დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის**, რომელშიც ასახულია საეკლესიო გალობის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში 1821-1920 წლებში. წიგნი ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 და ფ. ქორიძის **ქართული გალობის** ოთხწიგნეულის გამოცემიდან 110 წლისთავს. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა მერაბ კეზევაძემ, რედაქტორია ქეთევან მამუკელაშვილი.



სექტემბრიდან საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრმა ლუარსაბ ტოგონიძის მატერიალური შემწევობით დაიწყო გამოცემა გაზეთისა **ქართული გალობა**. გაზეთი თვეში ერთხელ გამოდის. დაბეჭდილია ოთხი ნომერი. გაზეთში არის რუბრიკები: ახალი ამბები, ქართული გალობის ისტორიიდან, ქართული გალობის მოამაგენი, ახალი გამოცემები, ტიპიკონი მგალობელთათვის, რჩევები რეგენტს, სამგალობლო ტერმინთა განმარტება, სამგალობლო გუნდები და სხვა. გაზეთის რედაქტორია თამაზ გაბისონია, სამხატვრო ხელმძღვანელი – ლუარსაბ ტოგონიძე.

#### მოამზადა ნინო ნაკაშიძემ



## ქართველი ეთნომუსიკოლოგები

### თინათინ ჟვანია (1962 - 2006)

ქართველი ეთნომუსიკოლოგების 80-90-იანი წლების პლეადას ამა წლის 15 ოქტომბერს ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გამოაკლდა – ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის შესანიშნავი მკვლევარი და ფოლკლორისტთა ახალი თაობის აღმზრდელი თინათინ ჟვანია. მისი სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა იმედებითა და სამომავლო გეგმებით აღსავსე მეცნიერი შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე იდგა.

თინათინ ჟვანია ქალაქ ქუთაისში 1962 წლის 11 ოქტომბერს დაიბადა. 1978-82 წლებში სწავლობდა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში, სადაც იმთავითვე მკაფიოდ გამომჟღავნდა მისი სიყვარული ქართული ხალხური სიმღერისადმი. სასწავლებელში სწავლის პარალელურად იგი ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში მსახურობდა პედაგოგად. თინათინი 1983 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის – კახი როსუბაშვილის მსგავსად, თავმდაბლობითა და მოკრძალებით გამორჩეული სტუდენტის სადიპლომო ნამუშევარი ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავები თავისი პროფესიული დონით ერთგვარ აღმოჩენად იქცა თვით მისი აღმზრდელებისთვისაც. აკადემიური კურსის დასრულებისთანავე თინათინ ჟვანია თბილისის კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრაზე იწყებს მუშაობას ჯერ ლაბორანტის (1988-92), ხოლო შემდეგ – მეცნიერ-თანამშრომლისა და პედაგოგის (1992-დან) თანამდებობებზე.

თინათინ ჟვანიას სამეცნიერო ინტერესის საგანს ძირითადად ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკა წარმოადგენდა. მიუხედავად გამოქვეყნებულ ნაშრომთა შედარებით მცირე რაოდენობისა (რაც თინათინის მრავალხრივი მოღვაწეობით აიხსნება), მან გამოამჟღავნა სამეცნიერო კვლევის მაღალი კულტურა. სწორედ ეს კულტურა გამოარჩევს მისი ავტორობით მომზადებულ მონოგრაფიებს ქართული ხალხური შემს-



რულებლობის კორიფეთა შესახებ: *ძუკუ ლოლუა* და *ერქომაიშვილები*, რომელიც ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ეგიდით გამოიცა. სამწუხაროა, რომ თინათინს არ დასცალდა სადისერტაციო ნაშრომის – *ქართული საკრავიერი მუსიკის კვლევის დიალექტოლოგიური ასპექტები* – დასრულება. თუმცა, ჩვენდა სანუგეშოდ, ამ უკანასკნელის ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია.

თინათინ ჟვანია სტუდენტობიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული კათედრის მიერ ორგანიზებულ საველე-შემკვრელობით ექსპედიციებში. მის მიერ გამოფრულ ნიმუშებს მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი ხელწერა გამოარჩევდა. იგი ასევე მონაწილეობდა კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში განხორციელებულ პროექტებში, მათ შორის *იუნესკოს ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების სამწლიან პროგრამაში*, წერდა სტატიებს ცენტრის ბიულეტენებისათვის, ინტენსიურად იმუშავა ქართული მუსიკალური ფოლკლორის სახელმძღვანელოზე როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრმა, გამშიფრავმა და მომღერალმა; იგი წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, კოლეგები განსაკუთრებით აფასებდნენ მისი მეცნიერული არგუმენტაციის სიმტკიცესა და ლოგიკურობას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თინათინ ჟვანიას პედაგოგიური მოღვაწეობა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც განსაკუთრებით საშური საქმე გახდა ხალხური სიმღერითა და საგალობლით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობისათვის საჭირო მიმართულებების დასახვა, თინათინი პედაგოგთა ავანგარდში იმყოფებო-

და. 1996 წლიდან იგი ხელოვნებისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს; 1998 წლიდან სიონის საკათედრო ტაძრის სამრევლო სკოლაში ასწავლის გალობას; ამავე პერიოდში იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტუდენტ ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო ხელმძღვანელად გვევლინება. თინათინ ჟვანიას მოწაფეები, პირველ რიგში, გამოპყოფენ მის საოცარ უნარს, ჩაენერგა აღსაზრდელში უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ეროვნული სიმღერა-გალობისადმი. ამასთან, თინათინი ოსტატურად ახერხებდა ყოფილიყო არა მარტო გულისხმიერი მეგობარი, არამედ მომთხონი და პრინციპული თავისი მოწაფეების მიმართ.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე თინათინ ჟვანია ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და ღვთისმსახურებაში დაპკვიდრების მოწოდებას – ანჩისხატის ტაძრის ვაჟთა გუნდის კვალდაკვალ, 1989 წელს თინათინი თბილისის ჯვარის მამის ტაძარში თავის ამხანაგებთან ერთად ქალთა საშემსრულებლო დონით გამორჩეულ გუნდში გალობს, შემდეგ კი – სიონის საკათედრო ტაძარსა და ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში (თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე). გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თინათინ ჟვანიას ჰქონდა ქართული გალობისა და სიმღერის სტილითან შესანიშნავად მისადაგებული, უნიკალური ტემბრის მაღალი ხმა და შესაშური საშემსრულებლო თვისებები. მისი სიმღერის იშვიათი სასცენო თუ სტუდიური ჩანაწერები (ანსამბლებთან *მზეთამზე*, *ბასიანი*, *ლაშარი*, სამრევლო სკოლის ქალთა გუნდთან, მგალობელ-მომღერალ ქალთა ანსამბლთან, ფოლკლორის სახელმძღვანელოს ილუსტრირებისას), ქართული ხალხური შემსრულებლობის მნიშვნელოვან შენამენად დარჩა.

თინათინ ჟვანიას დის, ქეთევანის სიტყვებით, თინიკომ თავისი სიცოცხლე ახლობლებზე ზრუნვასა და ქართულ სიმღერა-გალობას მიუძღვნა, რითაც არსებითად უფალს მსახურებდა. მძიმე ავადმყოფობის ჟამსაც, ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, აქტიურად მუშაობდა დისერტაციაზე, პარალელურად კი ღამისთევით ჩატარებულ საეკლესიო ღვთისმსახურებებში იღებდა მონაწილეობას.

თინათინ ჟვანიას, შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგის, მგალობელ-მომღერლისა, და რაც მთავარია, კეთილშობილი მეგობრის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

თამაზ გაბისონია

თინათინ ჟვანიას  
გამოცემული ნაშრომები:

1. საკრავის როლი საკრავიერი თანხლებით სასიძღვრო ნიმუშებში კრებულში: ქრისტიანობის 2000 და ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 1998.

2. საკრავის როლი საკრავიერი თანხლებით შესასრულებელ სასიძღვრო ნიმუშებში (ფანდურის თანხლებიანი სიმღერების მაგალითზე). კრებულში: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მასალები. თბილისი., 1999 წ.

3. ქართული საკრავი და მრავალხმიანობა (ვოკალური და საკრავიერი მუსიკის ურთიერთობა). კრებულში: სასულიერო და საერო მუსიკის პრობლემები. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი., 2001.

4. ძუკუ ლოლუა. ქართული სიმღერის ოსტატები. სამეგრელო. I ტომი. ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2003.

5. ერქომაიშვილები. ქართული სიმღერის ოსტატები. გურია. II ტომი. ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2004.

6. ქართული ხალხური სიმღერის ვერტიკალი და ჩონგურის წყობები (2004 წლის გურიის საექსპედიციო მასალის მიხედვით). ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2005.

7. სიმღერა-გალობა – ერქომაიშვილების მუსიკალური ოჯახის ცხოვრების წესი, სამეცნიერო კონფერენცია ქართული გალობის ერთი საუკუნე. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 2006.

8. საკრავის ტემბრი და ქართული მუსიკალური ესთეტიკა (სიმებიანი საკრავის მაგალითზე). ჟურნალში: კავკასიის მაცნე. თბილისი. 2006.

საველე-შემკრებლობითი ექსპედიციები  
თინათინ ჟვანიას მონაწილეობით:

1985 წ. – სვანეთი  
1986 წ. – ხევსურეთი  
1989 წ. – სამეგრელო  
1991 წ. – სამეგრელო-სვანეთი  
1992 წ. – ქართლი  
1995 წ. – გურია  
2003 წ. – თუშეთი  
2004 წ. – გურია  
2005 წ. – მესხეთი

## ქართული ხემიანი საკრავი

თინათინ ჟვანია, 1999

თემა ქართული ხემიანი საკრავი მიზნად ისახავს გააგრძელოს წინა წლების (ნაშრომი 1999 წელსაა შესრულებული – რედ.) სამეცნიერო თემებში დასმული საკითხები ზოგადად საკრავის ფუნქცია-დანიშნულების შესახებ ქართულ მუსიკალურ ყოფაში და გამოკვეთოს ქართული საკრავიერი კოლექციის კიდევ ერთი კონსტრუქციული სახეობა – ხემიანი საკრავი.

ქართული საკრავიერი კოლექცია აერთიანებს სამივე ძირითადი ჯგუფის საკრავებს: სიმებიანებს, ჩასაბერებსა და დასარტყამებს თავისი ნაირსახეობებით (სიმებიანი: ა) ჩამოსაკრავი – ფანდური და ჩონგური; ბ) ხემიანი – ჭიანური; გ) მოსაზიდი – ჩანგი. ჩასაბერი: ა) უენო სალამური; ბ) ენიანი სალამური; გ) მრავალღერძიანი სალამური; დ) გუდასტვირი).

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ქვეყნების საკრავიერი კოლექციები რომელიმე სახეობის პრიორიტეტით ხასიათდება და იშვითადაა, როცა სამივე ჯგუფი თანაბრადაა წარმოდგენილი. უფრო მეტიც, შესაძლებელია, რომ რომელიმე ერთი სახეობა საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი კოლექციაში (ეს არ ეხება დასარტყამებს). ამ თვალსაზრისით, ქართული საკრავიერი კოლექცია საინტერესო მასალას იძლევა გასააზრებლად.

როცა ქართულ მუსიკალურ კულტურაში საკრავის გამოყენებისა და განვითარების გზაზეა

## ეთნომუსიკოლოგია

საუბარი, ჩვენი ამოსავალი წერტილი, უდავოა, ქართული მუსიკალური აზროვნების ძირითადი განმსაზღვრელი და ქართული მუსიკალური შემოქმედების ცენტრალური ქვაკუთხედი – ქართული მრავალხმიანი სიმღერაა.

საკრავიერი მუსიკის ხვედრითი წილი საქართველოში სასიმღეროსთან შედარებით მნიშვნელოვნად მოკრძალებულად გამოიყურება (ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ამ ბოლო დროს საკრავის ფუნქციონირება უფრო ინტენსიური გახდა. მხედ ველობაში გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთა, სადაც ასეთი გააქტიურება ტრადიციული სასიმღერო ფორმების მივიწყებისა და რეპერტუარში თანამედროვე მთის სიმღერების მოჭარბების ხარჯზე ხდება).

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული საკრავიერი მუსიკა ეროვნული მუსიკალური აზროვნების თავისებურებების ამსახველია და მაღალესთეტიკური ხასიათით გამოირჩევა.

წინა ნაშრომებში ქართული ჩასაბერი საკრავის მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ვითარდება იგი ქართული მუსიკალური აზროვნების განვითარების კვალდაკვალ, როგორ დაიკვიდრა მან თვითმყოფადი და შეუცვლელი ადგილი და ფუნქცია ყოფაში. ჩვენ დავინახეთ საკრავის კონსტრუქციული გააზრების მიზანმიმართულება: კონსტრუქციული აუცილებლობა, ანუ მოცემული კონსტრუქცია, რომელიც ასახავს საკრავის ინტონაციურ მზაობას – მრავალღერძან სალამურთან და უნო სალამურთან; რთული კონსტრუქცია, რომელიც აერთიანებს ყველა იმ პრიმიტიულ ლერწამზე დასაკრავებს, საქართველოში უძველესი დროიდან რომ არსებობდა; გუდასტვირის სრულყოფილი კონსტრუქცია, რომელიც განაპირობებს მუსიკალური შინაარსის სიმდიდრესა და ყოფაში მის შეუზღუდავ გამოყენებას.

რაც შეეხება სიმებიან საკრავებს, ამ ჯგუფის საკრავების ზოგადი ესთეტიკის გამოსაკვეთად აღწერეთ ფანდურ-ჩონგურის გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტი. თანხლებიან სასიმღერო ნიმუშებზე დაყრდნობით, შევეცადეთ, გვეჩვენებინა ფანდურისა და ჩონგურის გამოყენების ტრადიციული და არატრადიციული ფორმები და, აქედან გამომდინარე, დაგვედგინა ამ საკრავთა გააზრებაში არსებული ნორმატივი და გადახრა.

ქართული სიმებიანი საკრავიერი მუსიკის მნიშვნელოვან პლასტს ხემიანი საკრავი წარმოადგენს, რომელიც ჭიანურისა და ჭუნირის (სვანეთში) სახელწოდებითაა ცნობილი.

ჭიანური იმ საკრავთა რიგში იმყოფება, რომელთაც ეროვნული ნიშან-თვისებების საკმაოდ

მყარი სისტემა გამოიმუშავეს. მხედველობაში გვაქვს სიმებიანიებიდან ფანდური, ჩონგური და ჩანგი, ჩასაბერებიდან ლარჭემ-სოინარი, სალამური და გუდასტვირი.

ჭიანურის გავრცელების ძირითადი არეებია: დასავლეთ საქართველოში – რაჭა და სვანეთი, აღმოსავლეთ საქართველოში – თუშეთი. მას შევხვდებით ხევსურეთში და აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა კუთხეებშიც, გადმოცემით, იმერეთსა და გურიაშიც. მაგრამ რაჭა, სვანეთი და თუშეთი ის კუთხეებია, სადაც ჭიანურმა მკვიდრი ადგილი ჰპოვა.

ჭიანური არის სამსიმიანი საკრავი (რაჭაში ვხვდებით ორსიმიანსაც).

ორიოდე სიტყვით შევხვით ჭიანურის კონსტრუქციასა და დამზადების წესს. ივ. ჯავახიშვილს ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში მოცემული აქვს სოფელ ამლელი ბაბუტა წიკლაურის მონათხრობი: „ჭიანურის მუცელს აკეთებენ ხის ჭურჭლისაგან და უნდა იყოს ძველი ღიდგვარი ჯამი ან კოფიას (წყლის ჭურჭელი) გადანაჭერი. ამნაირი მასალისაგან გაკეთებული ჭიანურის მუცელს გაგდებული აქვს ჭიანურის ყელი, რომელსაც მომრგვალებულ სათავეში გაყრილი აქვს სამი ხის თითი, რომელიც ბოლოში დვეღზეა დამაგრებული. ჭიანურის ძუის ლარები ვანცზეა გადაჭიმული. ამ საკრავის ასაჟღერებლად იხმარება შეილდი, რომელსაც ნახევარი ადლის სიგრძე აქვს და ზედ ძუა აქვს გაბმული შეილდის საბამივით. ჭიანურის შეილდის ძუამ რომ საკრავის ლარები უფრო კარგად აახმაუროს, ამისათვის დამკვრელს ფიჭვის შოჭი, ე. ი. ფიჭვის წებო აქვს. ჯერ შეილდის ძუას წაუსმენ შოჭზედა. ხოლო შემდეგ შოჭიან შეილდს წაუსმენ ლარებსა და საკრავიც „ახმაურდება“ (ვინც სიმებიან შეილდიანი საკრავების ხმარება იცის, ის ადვილად მიხვდება, რომ შოჭი კანიფოლის ქართული სახელწოდებაა – შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი).

მონათხრობი დატვირთულია ტექნოლოგიური ხასიათის ცნობებით და ძირითადად განაზოგადებს ჭიანურის დამზადების წესს მისი გავრცელების სხვა არეებშიც. თუმცა, არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ ის კონსტრუქციული სხვაობები, რასაც დამზადების განსხვავებული ნიუანსები ახლავს თან სვანურ, რაჭულ და თუშურ ჭიანურებში. საკმარისია დავასახელოთ ისეთი კონსტრუქციული მახასიათებლები, როგორიცაა სვანურისათვის – საცრის რკალის მუცელი, რომელსაც ზევიდან ბუმტი აქვს გადაფარებული, ქვევიდან კი ზურგი არა აქვს და უძიროა; რაჭულისთვის ის, რომ არის მხოლოდ ორსიმიანი;

თუშურისათვის კი ის, რომ მისი მუცელი ფანდურივით მოლიანი ხისგან მზადდება და სამსიმიანია.

უდავოა, რომ კონსტრუქციული სახესხვაობა ასახვას პოულობს მუსიკაშიც. ჭიანურის ზემოთ დასახელებული სახეობები (რაჭული, სვანური, თუშური), ნათლად ჩამოყალიბებულ სქემებს წარმოადგენენ თავიანთი დამზადების წესით, კონსტრუქციით, ადგილითა და ფუნქციით ყოფაში, უპირველესად კი, მათზე აყდრებული მუსიკით. თუ თვალს გადავაგვლებთ ქართულ საკრავიერ რეპერტუარს, დავინახავთ, რომ ფანდურთან და ჩონგურთან შედარებით ჭიანურის გამოყენება გაცილებით რეგლამენტირებულია.


ფანდურისა და ჩონგურის გამოყენების შესაძლო ვარიანტების ჩვენებისას, ჩვენ დავინახეთ, რომ მაგალითად, ფანდურის მუსიკალური შინაარსის გადატანა შესაძლებელია სხვა, თუნდაც არაქართული წარმოშობის საკრავებზე. განსაკუთრებით ხშირად ეს ხდება თუშეთში, სადაც ერთნაირი მონდომებით უკრავენ ერთი და იგივე რეპერტუარს ფანდურზე, მანდოლინასა და ბალალაიკაზე.

გარდა ამისა, ფანდურ-ჩონგურის რეპერტუარში ხშირად შევხვდებით არატრადიციული მუსიკის ნიმუშებსაც, რაც ჭიანურთან მიმართებაში თითქმის გამორიცხულია.

ჭიანური არის განსაკუთრებული ტემბრული შეფერილობის საკრავი. ტემბრი სწორედ ის მთავარი მახასიათებელია, რაც აერთიანებს ქართული ხემიანი საკრავის სახეობებს. იგი განსაზღვრავს ჭიანურზე დასაკრავთა მუსიკალურ, უფრო ზუსტად, სახეობრივ შინაარსს.

ჭიანურის სახეობრივი წრე მნიშვნელოვნად განპირობებულია საკრავის გარკვეული ტემბრული განწყობილებით (თუ შეიძლება ასე ითქვას). ამ მხრივ, ნიშანდობლივია ამ საკრავის სახელი ჭიანური..., რომელიც, როგორც ჩანს, მწუხარებისა და ნაღველის შემცველ სიტყვას – ჭირს უკავშირდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხშირად გაიგონებთ ჭიანურზე: ჭირის საკრავი.

იმის დადგენა, თუ როდის ჩნდება ჭიანური ქართული ხემიანი საკრავის სახელწოდებად, ძნელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხურ ლექსებში ხშირად ვხვდებით შვილდაკიანი საკრავის აღმნიშვნელად ტერმინ *ქამანჩას*, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხემიანი კონსტრუქცია საქართველოში თავდაპირველად შემოტანილი უნდა იყოს სპარსეთიდან და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკრავმა ევოლუცია განიცადა, ქართული წყობებს მოერგო და დაიმკვიდრა ადგილი და ფუნქცია ქართულ ყოფაში, მას ჭიანური ეწოდა.



სვანური და რაჭული ჭიანური

ქართული ხემიანი საკრავის ყველაზე არქაულ კონსტრუქციას რაჭაში გავრცელებული ჭიანური წარმოადგენს. იგი ორსიმიანია. სიმები აწყობილია დიდი ტერციით, გამოიყენება თანხლებად სიმღერისათვის. უნდა ითქვას, რომ რაჭაში ჭიანურის თანხლებიან სასიმღერო ნიმუშებში შემსრულებელთა რაოდენობა მკაფიოდ რეგლამენტირებულია. ჩვეულებრივ, ასეთ ნიმუშებს ორი მომღერალი ასრულებს, საკრავთან ერთად კი (ჭიანური აორმაგებს სასიმღერო მელოდიას) იქმნება სამხმიანობა.

საინტერესოა, ერთმანეთს შევადაროთ ერთი და იგივე სიმღერის ვოკალური და მისი ჭიანურისთანხლებიანი ვარიანტი. ვოკალური ვარიანტი ორგუნდოვანია, კომპლექსური ტიპის მრავალხმიანობის შემცველი. ეს სავსე ყლერადობის მქონე, დინჯად დინებადი სიმღერაა.

რაც შეეხება ჭიანურისთანხლებიან ვარიანტს, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ენის, კერძოდ – ჰარმონიული შინაარსისა და შემადგენლობის თვალსაზრისით, უფრო სადად გამოიყურება (ბანი გაბმულია, აქედან გამომდინარე, სიმღერისათვის დამახასიათებელი კომპლექსურობა შენიღბულია), სახეობრივი წრის რაიმე გამარტივებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ტემბრულად სავსე ჭიანური თავისი სიღინჯითა და გაბმული ბგერითი რეზონანსით ნამდვილად არ ჩამოუვარდება უსაკრავო საგუნდო ფაქტურას.

ჭიანურის ტემბრულ სისავსეზე შესანიშნავად მეტყველებს ისიც, რომ რაჭაში მესტივირულ ლექს-სიმღერებს, ზოგჯერ, ნაცვლად სტვირისა, ჭიანურზეც ამღერებენ. მესტივირული ჰანგის გადმოტანა ჭიანურზე ამ საკრავის ტემბრული შესაძლებლობებით აიხსნება, ასე კარგად რომ

შეესაბამება მესტვირული ჰანგის ტემბრულ მახასიათებელს (ჩაბერვით საორღანო ჟღერადობა).

ქართული ხემიანი საკრავის სვანური სახეობაა სამსიმიანი ჭუნირი, რომელიც ასევე დიდი ტერციითაა აწყობილი (კიდურა სიმები უნისონშია).

ჭუნირი ძირითადად სიმღერის თანხლებად გამოიყენება. თუმცა, შეიძლება შევხვდეთ ამ საკრავის გამოყენების სოლო ფორმასაც, ძირითადად სვანეთში. ზოგიერთ ნიმუშში სიმღერის თანხლებად ჭიანურთან ერთად ჩანგიცაა გამოყენებული.

თავდაპირველად შევეხოთ ჭუნირზე სოლო შესრულების ფორმას.

სვანეთში, ისე, როგორც ზემო სამეგრელოსა და აფხაზეთში, ძველთაგან ცნობილია გარდაცვლილი ადამიანის სულის დაჭერის რიტუალი.

როცა ადამიანი უბელური შემთხვევის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო სახლიდან მოშორებით კვდება, გარდაცვალების ადგილზე მიდიან გუდით, მამლითა და საკრავით. მათი წარმოდგენით, საკრავის ხმა მიიზიდავს სულს, რომელიც გუდაში უნდა შევიდეს. როცა გუდა აივსება, მამალი დაიცივლებს ნიშნად იმისა, რომ სული დაჭერილია. გუდას თავს მოუკრავენ და გარდაცვლილის ცხედართან მიიტანენ.

ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთში ამ დროს მრავალდერიან სალამურს იყენებენ. გავისხენოთ ჩასაბერი გუდასტვირისა და ხემიანი ჭიანურის ჩანაცვლების მაგალითი რაჭაში.

რაც შეეხება ჭუნირის თანხლებად გამოყენების შემთხვევებს, რაჭული ნიმუშებისაგან განსხვავებით, აქ შემსრულებელთა რაოდენობა არ არის რეგლამენტირებული. პირიქით, ჭუნირის თანხლებიანი სასიმღერო ნიმუშები შემადგენლობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. რაჭული ჭიანურისაგან განსხვავებით, სვანური ჭუნირის მუსიკალური ქსოვილი სამხმიანია. ჭუნირის თანხლებით სიმღერა შეიძლება იყოს ერთხმიანი (ერთი მომღერალი), შეიძლება იყოს ორხმიანი (ორი მომღერალი) და სამხმიანი (გუნდი, ზოგჯერ – ორი).

როცა ჭუნირი თან ახლავს ერთ ან ორხმიან მღერას, სახეზეა იგივე თანაფარდობა ვოკალსა და საკრავს შორის, რაც რაჭულში ქმნიდა ერთ სისხლხორცულ მთელს. ამასვე ვერ ვიტყვით ჭუნირის გუნდური სიმღერისათვის თანხლებად გამოყენების შემთხვევებზე, როცა ჭუნირის ხმიერი გარემოცვა ტიპურ ომახიან სვანურ ატმოსფეროს ქმნის (შეიძლება იყოს ორგუნდოვანი შესრულებაც), რასაც საერთოდ არ ვხვდებით რაჭულ ნიმუშებში.

ერთი შეხედვით, ჭუნირის გამოყენება ასეთ შემთხვევებში სრულიად ზედმეტია, რადგან საკრავი აქ ჩრდილშია. მაგრამ თუ კარგად დავუგდებთ ყურს ვოკალურ-ინსტრუმენტული ქსოვილის ტემბრულ დინამიკას, აუცილებლად შევიგრძნობთ ამ ფორმით მოწოდებული მუსიკალური აზრის განუმეორებლობასა და ფერადოვნებას.

როცა ლაპარაკია ჭუნირის ტემბრულ დინამიკაზე, ტემბრულ გააზრებაზე, არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ისეთი ხმიერი გადაწყვეტა, როგორცაა გუნდის მიერ სიტყვების თქმიდან მოკუმული პირით მღერაზე გადასვლა, იმისათვის, რომ საკრავი დაწინაურდეს და გამოიკვეთოს. ამ დროს როლები თითქოს იცვლება: ჭუნირი მეტყველი ხდება, ვოკალი თანხლება. ამის საუკეთესო მაგალითია *ლევზიანამ მეჩი დადა* (გრ. ჩხიკვაძე, 1960 წლის ექსპედიცია კახეთში, სოფ. ცხუმარი. ინახება ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის არქივში).

რაც შეეხება თუშურ ჭიანურს, უნდა ითქვას, რომ თუშეთი ითვლება ქართული ხემიანი საკრავის გავრცელების ერთ-ერთ ძირითად არეალად. უფრო მეტიც, როგორც ზვეითაც აღვნიშნე, ამ ბოლო დროს აქ ამ საკრავის შესამჩნევი გააქტიურება შეინიშნება.

თუშეთში 10 წლის წინ გახლდით და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ საკრავი არის თუშური მუსიკალური ყოფის ძირითადი განმსაზღვრელი. ჩვენს მიერ შეგროვილ საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალაში ვერ ნახავთ ნიმუშს საკრავის მონაწილეობის გარეშე. როგორც ირკვევა, თუშების ყოფაში საკრავი ჟღერს არა მარტო გართობის, ლხინისა და დასვენების დროს, არამედ სხვადასხვა სახეობის ნადმი, ხატობებსა და დღეობებში. უფროსი თაობის მონათხრობიდან ირკვევა, რომ საკრავი უწინ წვიმის მოსვლის ან გადაღებისათვის გადახდილ *საძღვთოებშიც* მონაწილეობდა. მოხუცი ქალების გადმოცემით, დაკრძალვის დღეს, თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო, გარმონზე უკრავდნენ, ხოლო თუ მოხუცებული – ფანდურსა და ჭიანურზე დაამღერებდნენ (1989 წ. ექსპედიცია თუშეთში, ხელმძღ. ქეთევან ბაიაშვილი. ინახება ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის არქივში).

როგორც ჭიანურზე დამკვრელმა პავლე ლაგაზიძემ გადმოგვცა, ყოფილა ჭიანურზე დასაკრავი ტირილის ხმა, რომელსაც თვით მიცვალებულის დასაფლავებაზე არ უკრავდნენ, მაგრამ დაკრძალვის შემდეგ კი იცოდნენ საკრავის ატირე-

ბაო. შეიძლება გავიხსენოთ სვანეთში დადასტურებული წესი, რომელიც ძალიან მოგვაგონებს წოვა თუშებში არცთუ დიდი ხნის წინ გავრცელებულ წესს: მიცვალებულთან დაკრძალვის წინა დამეს ერთ-ერთი ნათესავი კაცი დაჯდება და წყნარი ხმით დაამღერებს მიცვალებულისა და მისი გარდაცვლილი ნათესავების მოსაგონარს.

თუშურ ყოფაში საკმაოდ ფართოდაა გამოვლენილი ქართული საკრავების ძირითადი ფუნქცია: თანხლება სიმღერის ან ცეკვისათვის. თუმცა ჩვენ აქ ვპოულობთ ქართული ხალხური საკრავების სამემსრულებლო ტრადიციებისათვის შედარებით უცხო მოვლენასაც – მხედველობაში გვაქვს საკრავის ფუნქციონირების სოლო ფორმა. ეს არის წმინდა ინსტრუმენტული ციკლური ფორმის დასაკრავები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით ჭიანურზე, ფანდურზე, ბალაღაიკასა და მანდოლინაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფანდურსა და ბალაღაიკა-მანდოლინაზე გვხვდება უფრო საცეკვაო სიუიეტის მსგავსი ფორმა.

რაც შეეხება ჭიანურს, მას ნამდვილად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თუშურ მუსიკალურ ფოლკლორში. იგი დღესდღეობით მხოლოდ სოლო საკრავს წარმოადგენს. ჩვენს მიერ ჩაწერილი დასაკრავები ჭიანურზე უნდა განვიხილოთ როგორც სოლო ინსტრუმენტული კომპოზიციები, რომლებიც სხვადასხვა „ხმებად“ წოდებული მისამღერების ვარიანტულ-იმპროვიზაციულ განვითარებას წარმოადგენს. მაგ. ციკლი, რომელიც პავლე ლაგაზიძემ შეასრულა, შედგებოდა: 1. თუშური, 2. დასაკრავი, 3. საბერიკაცო, 4. საცეკვაო, 5. შამილის ხმა, 6. სამეზავრო, 7. წიფლოვანა, 8. ქალის ტირილის ხმა...

თითოეული დასაკრავის ბოლოს ყურადღებას იპყრობს ე. წ. ინსტრუმენტული კადანსები, ანუ დასაკრავის ბოლოს დასაკრავთა შორის გამოყოფის ნიშნად *დისონანტური გადასროლა*.

თუშური ჭიანური საკრავისადმი ფაქიზი დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუშია. ჩვეულებრივ, ჭიანური ხვდება მხოლოდ კარგი დამკვრელის ხელში. უნდა ითქვას, რომ საკრავის ასეთ რანგში აყვანა აშკარად გამოხატული პროფესიონალიზმის ნიშნებს შეიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჭიანურის მცოდნეთა შორის არც ერთი ქალი არ ყოფილა და არც ერთ მათგანს (ჭიანურზე დამკვრელს) არ უძღერია. ამ პიროვნებების (მემსრულებლების) ერთადერთი მუსიკალური საზრდო ჭიანურია, რომელზედაც შესანიშნავად უკრავენ დასაკრავებს (ლამაზი თუშური მელოდიითა და თუშური მრავალხმიანობისათვის დამახასიათებელი ჰარმონიული საქცევე-

ბით). თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაღალი პროფესიონალიზმის ნიშნით გამორჩეული მსგავსი საკრავიერი მუსიკა თუშური მუსიკალური ყოფის მწვერვალს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება თანამედროვე თუშურების ზოგიერთ ვოკალურ ინტერპრეტაციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭიანური საკრავისეული გააზრების სრულყოფილების ნათელი გამოხატულებაა.

ჭიანური არის ერთადერთი ხემიანი კონსტრუქცია საქართველოში, რომელიც ტრადიციული მუსიკის წიაღში იმყოფება და მკვეთრად გამოხატული ფოლკლორული ბუნებისაა.

ეროვნული ნიშან-თვისებების მყარი სისტემის მქონე საკრავებთან – ფანდურთან და ჩონგურთან შედარებისას ვრწმუნდებით, რომ ჭიანურს გაცილებით ნაკლებად შეეხო ის შემოტევები, რაც ქართულმა საკრავმა განიცადა მისთვის უცხო, არატრადიციული მუსიკალური სამემსრულებლო ელემენტებისაგან (მასიური შერეული გუნდები ხმების გაორმაგებით, გაორმაგებული საკრავიერი თანხლებით, უცხო და მდარე ხარისხის მქონე მელოდიები).

ქართული ხემიანი საკრავის სახეობრივ წრეს მნიშვნელოვნად განაპირობებს სუფთა საკრავიერი ხასიათის მაჩვენებელი – ტემბრი, რომელიც განსაკუთრებული ნალველის, ასაკის – სიბრძნის, ერთგვარი ბალადურობის ნიშნებსაც შეიცავს, რაც მას მნიშვნელოვნად აახლოებს ჩასაბერი საკრავის სამყაროსთან.

ცნობილია, რომ მსოფლიო ხალხთა უძველეს ანიმისტურ რიტუალებში ჩასაბერი საკრავები გამოიყენება. სვანეთში გავრცელებულ წესში, მიცვალებულის სულის „დაჭერის“ პროცესში ჭიანურის მონაწილეობა, ამ საკრავის ანიმისტურ გაგებაზე მეტყველებს, რაც ჩასაბერი საკრავის ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა.

ჩასაბერი საკრავის სამყაროსთან ჭიანურის სიახლოვის პირდაპირი მინიშნებაა რაჭაში მესტვირული ტექსტების დამღერება ჭიანურის თანხლებით, ანუ გუდასტვირის ჭიანურით ჩანაცვლება.

თანხლებიან სასიმღერო ნიმუშებში ჭიანური მსმენელში მნიშვნელოვან პერსონიფიცირებას განიცდის. ამიტომაცაა, რომ საკმაოდ საშუალო სიძლიერის ბგერითი ველის მიუხედავად, ჭიანურის ჟღერადობა, იმ დროსაც კი, როცა მსხვილ ხმირ გარემოცვაში ხვდება (სვანური ორგუნდოვანი სიმღერები) და აორმაგებს სასიმღერო მელოდიას, სიმღერას მთლიანობაში განუმეორებელ ელფერს ანიჭებს.



საქართველოს ფოლკლორული  
კოლექტივები

## ფოლკლორული ანსამბლი ბასიანი

ქართული საერო და სასულიერო მუსიკის დღევანდელ შემსრულებელთა შორის ბასიანს გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც, უთუოდ, ანსამბლის ორიგინალური ხელწერით არის განპირობებული.

ანსამბლის სახელწოდება ბასიანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონიდან მომდინარეობს. ეს მხარე ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფება, ქ. არზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 1203 წ. სწორედ აქ მოხდა საქართველოს სამეფო ლაშქრის სახელოვანი ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. მოპოვებულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა იმდროინდელი საქართველოს პოზიციები ახლო აღმოსავლეთში.

„თამარის საქებლად და აწ შეჭირვებული, მაგრამ უძლეველი ქართული სულის კიდევ უფრო განსაღივებლად ჩვენს გუნდს ბასიანი ვუწოდეთ. . . ჩვენ ეს სახელი წმინდა თამარ მეფის და ბასიანის მადლით გასაძლიერებლად მივიღეთ, რადგანაც უდიდესი პასუხისმგებლობაა ქართული სიმღერა, უფრო დიდი – ქართული გალობა“ – ამბობენ ანსამბლის წევრები.

ქართული ხალხური სიმღერის მადლს ანსამბლის წევრთა უმრავლესობა ბავშვობიდან, საოჯახო ტრადიციის წიაღში ეზიარა. შემდეგ ე. წ. აკადემიური ტიპის ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებში (*მართვე, ბიჭები, დარიალი*) გამოიწრთო და ბოლოს, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში შუა საუკუნეების მართლმადიდებლური საგალობლების შემსრულებლად წარმოგვიდგა – როგორც ამ ტაძრის მგალობელთა გუნდის ბირთვი. ყოველივე ამან ჩამოაყალიბა ანსამბლის განსაკუთრებული შემოქმედებითი სახე, რომელიც ტრადიციულ სამემსრულებლო მანერასთან სიახლოვეს ემყარება.

1998 წ. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჩამოყალიბებულმა სამების ქორომ იმთავითვე მსმე-



ნელთა და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. კუკური ჭოხონელიძის შეფასებით, „მისი დაარსებით ქართულ სამგალობლო შემსრულებლობას დიდი პერსპექტივების მქონე ნიჭიერი, ფრიად საინტერესო კოლექტივი შეემატა“. 2000 წელს კი კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი ბასიანი აკურთხა.

ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტია. პირველი ანსამბლი ბერიკა მან 1996 წ. ჩამოაყალიბა და საბავშვო ფესტივალზე *ოქროს მართვე* პირველი პრემიაც დაიმსახურა. 1999-2000 წწ. გიორგი უშიკიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციის ანსამბლ ლაშარს. გარდა ბასიანისა, გიორგი დონაძე, სვიმონ ჯანგულაშვილთან ერთად, ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის რეგენტიცაა.

ანსამბლში ამჟამად მღერიან: ბეჟან მესხი (I ხმა), პაატა ცეცხლაძე (I, II), გელა დონაძე (II, კრიმანჭული), ელიზბარ ხაჩიძე (I, კრიმანჭული, ეუფლება ჭიბონს), ზურა მექვაბიშვილი (III), გიორგი მექვაბიშვილი (III), ზურაბ წკრილაშვილი (III, უკრავეს ჩონგურზე), ლაშა მეტრეველი (III), გიორგი დონაძე (II, III, უკრავეს ჩონგურსა და ჩანგზე), ნიკო გოგოლაძე (II, უკრავეს დოლზე, სწავლობს გუდასტვირზე დაკვრას), ლუარსაბ ტოგონიძე (I), სერგო ურუშაძე (I, II, უკრავეს ჭუნირზე, ჩონგურზე).

სხვადასხვა დროს ანსამბლში მღეროდნენ ლექსო გრემელაშვილი, ილია დათუაშვილი, ზურაბ დათიკაშვილი, გივი ბაკურაძე, ზურაბ ბაკურაძე, აკაკი კობიაშვილი, ბესო მეფარიშვილი, ფრიდონ მკერვალიშვილი, დავით ცხველიანი, ზვიად ბოლქვაძე, გიორგი მელიქიშვილი, ნიკო გოგოლაძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

ანსამბლის რამდენიმე წევრი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტია, დანარჩენები სხვადასხვა პროფესიით მსახურობენ.

მოკლე ხნის მანძილზე ჯგუფმა ბევრის გაკეთება მოასწრო. ანსამბლის წევრები თავის პედაგოგ-კონსულტანტებად, დამკვალიანებლებად და უფროს მეგობრებად გამოჩენილ ქართველ ეთნომუსიკოლოგებს – ანზორ ერქომაიშვილსა და კუკური ჭოხონელიძეს თვლიან. მათთან ერთად, ანსამბლის წევრთა საშემსრულებლო გემოვნების დახვეწაში გიორგი დონაძე დიდ როლს ანიჭებს თინათინ ჟვანიას.

სამების გუნდთან ერთად ბასიანი მონაწილეობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყველა ღვთისმსახურებასა და მომლოცველობით მოგზაურობაში. ანსამბლი პატრიარქთან ერთად იყო საბერძნეთში, კვიპროსში, რუსეთში – მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ჰოლანდიაში და სხვ. 2003წ. მან იმსახურა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და საქართველოს პატრიარქების მიერ კაბადოკიასა და ტაო-კლარჯეთის მონასტრებში აღვლენილ ჟამისწირვაში. 2004 წ. ბასიანი საბერძნეთში ათონის მთაზე ქართული გალობით მონაწილეობს ერთობლივად აღვლენილ ლიტურგიაში ათანასეს დიდ ლავრასა და ივერთა მონასტერში.

2003 წელს ბასიანი ლიტვაში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული კონფერენციის – „დიპლომატი ცივილიზაციათა შორის. კავკასია“ – ფარგლებში კონცერტს ატარებს.

2006 წელს ანსამბლი მართავს საკონცერტო ტურნეს შვეიცარიასა და საფრანგეთში.

გარდა ამისა, ბასიანი წარმატებით გამოდის ისრაელში, თურქეთში, ირანში, უკრაინაში.

ანსამბლი ყოველწლიურად შემოქმედებით ანგარიშს აბარებს საქართველოს მსმენელს. ამასთან, მონაწილეობს სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. ბასიანის წევრები რეპერტუარს ამდიდრებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის

შემსრულებლებისაგან შესწავლილი ნიმუშებით. ანსამბლს გამოცემული აქვს სამი აუდიოდისკი, რაც ბასიანის წევრთა შემოქმედებით და მოქალაქეობრივ აქტივობაზე მეტყველებს.

ბასიანის შემოქმედებით სახეს საინტერესო რეპერტუარი აყალიბებს. მართალია, მასში დასავლურქართული ნაკადი სჭარბობს, მაგრამ ქართლ-კახური და თუშური ნიმუშების უზალო შესრულება მოწმობს, რომ ახალგაზრდები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთა სასიმღერო მემკვიდრეობის ათვისებასაც მშვენივრად ახერხებენ. საწესო-რიტუალური ნიმუშების გვერდით ჯგუფი ხშირად ასრულებს საბჭოური და თანამედროვე პერიოდის ფოლკლორს. მისასაღმებელია აგრეთვე, მამაკაცთა და ქალთა ერთობლივი რეპერტუარისადმი ერთგულების ფაქტიც. ამ მიზნით ანსამბლთან ერთად კონცერტზე არაერთხელ გამოსულა თინათინ ჟვანია, რომლის სავსე და ხავერდოვანი ტემბრი საოცარ ხიბლს ჰმატებდა ბასიანის სიმღერას.

მომთხოვნელობა და დიდი პასუხისმგებლობა, რეპერტუარის შევსება-განახლებისა და უცნობი ნიმუშების მოძიება-გამომზეურების, ძველი სანოტო ხელნაწერებისა და საარქივო ჩანაწერების გაცოცხლების სურვილი, საკრავებისა და ქორეოგრაფიული ილეთების დაუფლებისაკენ სწრაფვა ბასიანის მომავალი წინსვლის საწინდარია.

ნინო მახარაძე

## ანსამბლ ბასიანის დისკოგრაფია:

1. ქართული ხალხური სიმღერები. ბასიანი. საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლი.

ხელმძღვ. გ. დონაძე. სპონსორი თი ბი სი ბანკი. თბ., 2002 წ.

2. საკონცერტო ჩანაწერები. საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი ბასიანი. ხელმძღვ. გ. დონაძე. სპონსორი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სამოგზაურო – სამომლოცველო სამსახური. თბ., 2005 წ.

3. ქართული ხალხური სიმღერები. საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი ბასიანი. ხელმძღვ. გ. დონაძე. სპონსორები: თბილისის მერია, ფირმა კაპაროლი. 2006 წ.

საველე-შემკრებლობითი  
მუშაობა

## ექსპედიცია სურებში (გურია)

შთაბეჭდილება, რომელიც ქართული სიმღერის, კერძოდ კი გურული მრავალხმიანობის მოსმენისას ჩნდება, მუდმივად ბადებს კითხვას: რამ განაპირობა ამ ხალხში მუსიკალური აზროვნების ასეთი განვითარება? ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, თუმცა მისი კვლავ შეცნობის ინტერესი განაპირობებდა არჩევანს – ჩვენი ექსპედიცია გურიის მთებში, ჩონატაურის რაიონის სოფელ სურებში წასულიყო. ვიცით, დროს და ჟამს მიჰყვებიან ძველი მცოდნენი ქართული მუსიკალური საუნჯისა, მაგრამ ყოველ ასეთ საექსპედიციო გასვლას ჯერ კიდევ ახლავს თან ძვირფასისა და საინტერესოს მოძიების იმედი.

2006 წლის 13-17 ივნისს გურიაში გამართულ ექსპედიციაში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის ორი წევრი - ოთარ კაპანაძე და დავით შულღიაშვილი ვიყავით. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ მოგზაურობაში მონაწილეობდნენ რეჟისორი ლევან ლლონტი და ოპერატორი ორესტ თოდუა. მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის შექმნის იდეით, მათ განზრახული ჰქონდათ მთელი ექსპედიციის ვიდეო ფირზე გადაღება. ჩვენს ჯგუფს კიდევ ერთი, ყველაზე უმცროსი წევრი, 12 წლის ივანე ლლონტი ახლდა, რომელიც განსაკუთრებით ახალისებდა ჩვენს მოგზაურობას. კინემატოგრაფი მეგობრების კიდევ ერთ მნიშვნელოვან „პლუსს“ ლევანის მანქანა „ჯიპი“ წარმოადგენდა, რომლის გარეშე საეჭვოა, რომ რამე მოგვეხერხებინა ექსპედიციისთვის განკუთვნილ მცირე ვადაში.

შუა სურებში მასპინძლობა გავვიწია მამაშვილმა რამიზ და გიორგი რამიშვილებმა. ისინი განსაკუთრებულ ადგილას ცხოვრობენ; სამანქანო გზიდან დაახლოებით კილომეტრი უნდა იარო მთაზე ფეხით, რომ ტყეში განმარტოებულ მათ სახლთან მიხვიდე, საიდანაც კიდევ უფრო საოცრად მოჩანს გურიის მთების მომაჯადოებელი სილამაზე.

მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით მომღერალთა მოძიებას, რაშიც ჩვენი მასპინძელი, გი-

ორგი რამიშვილი გვეხმარებოდა. პირველად 92 წლის მომღერალს, ლეო ბერიშვილს ვესტუმრეთ. დღის ბოლოსთვის მასთან მოუყარეთ თავი სხვა ნაკლებასაკოვან თანასოფლელებს, რომელსაც ახსოვდათ ძველი გურული სიმღერები: ისმაილ, ჯემალ და ბადრი შათირიშვილები, გულივერ ტრაპაიძე. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო შეკრებაზე ვერ მოვიდა ლეო ბერიშვილის თაობის მომღერალი, ჭაჭია (მიხეილ) ტრაპაიძე.

ჩვენი ინიციატივით ყველა გაზარებული ჩანდა, რადგან, როგორც გაირკვა, მრავალი წელია სასიმღეროდ აღარ შეკრებილან თანასოფლელები. ეს კი გარკვეულწილად ამ შეხვედრაზე ნამღერ სიმღერებსაც დაეცყო. შეიძლება, ნანინა, ვახტანგური, შალვა ჩემო სიხარულო, ჩვენ მშვიდობა და მრავალი სხვა სიმღერა წამოიწყეს, რომელთაგან ბევრს შუა მღერაში წყვეტდნენ, რადგან დიდი ხნის შეუმღერებლნი იყვნენ. იმ საღამოს ასე ჩავწერეთ 22 სიმღერა, ზოგი სრულად და ზოგი ფრაგმენტულად. რეპერტუარში ძველი გურული სიმღერების გარდა საბჭოთა ეპოქის ამსახველი ლენინ ოქტომბრის ბელადო და სიმღერა სტალინზე გაიხსენეს. აგრეთვე შემოგვთავაზეს იმავე დროის სასიმღერო რეპერტუარიდან სიმღერები ბახმარო, ჩვენს პოეტებს, მწერლებსა და ბევრი სხვა.

თვითონ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ სიმღერების დაიწყებისა და შეუმღერებლობის გამო. მაგრამ აქვე მანსოვს ერთ-ერთი მათგანის გულიდან აღმომხდარი სიტყვები: „თქვენ აგაშენათ ღმერთმა! რამდენი ხანია სამ ხმაში აღარ გვიმღერია“. და მართლაც, ნათლად შეიგრძნობოდა, მათი შეკრების სისტემურობის შემთხვევაში



ლეო და ბიჭიკო ბერიშვილები



### ლუბა კიკვაძე

მრავალი სიმღერის გახსენება და აღდგენა რომ შეეძლოთ. იმ დღეს ერთგვარად „მოთელვის“ ფუნქცია ჰქონდა და ამიტომ მეორე დღეს შეკრებაზე ღვინოთანხმით ყველა.

შემდეგ დღეს მათ ბიჭიკო (შოთა) ბერიშვილიც დაემატა, რამაც შემადგენლობა საგრძნობლად გაახალისა. მართალია, ხმათა შეწყობაზე დიდხანს „კამათობდნენ“, მაგრამ ბოლოს რამდენიმე სიმღერა „გამოიჩარხა“: *მყრული*, *ლალი*, *ნაკლებად ცნობილი აბა ძმებო კვლავ შევავსოთ*, *მასპინძელსა* და სხვ.

აქვე ვთხოვეთ, გაეხსენებინათ სურების ცნობილი ნაღური, იგივე *ყანური*. თავიდან კი იუარეს, მაგრამ ჩვენი დაჟინებული თხოვნითა და რამდენიმე მცდელობის შემდეგ, სადაც ჩვენც დაგვიხმარეს ბანებში, გაისმა *ყანურის* ჰანგები, უფრო სწორედ ამ ჰანგების ანარეკლი და ... აქ ერთდროულად დაგვეუფლა სიხარულიც და სინანულიც, რადგან ვხედავდით აჩრდილს დიდებულ საუნჯისა, აჩრდილს იმ წინაპრებისა, ვინც ჰქმნიდა ამ საოცარ მუსიკას, ვისი ცხოვრების ნაწილსაც წარმოადგენდა ეს მსოფლიო მნიშვნელობის საგანძური. ჩვენი მეგობრების დახმარებით ეს ყველაფერი ვიდუო ფირზე დაფიქსირდა.

დადამებულზე დავბრუნდით სახლში გიორგისთან და სუფრასთან დიდხანს ვსაუბრობდით განვლილ დღეზე.

მეორე დღეს ბიჭიკო ბერიშვილს ვესტუმრეთ სახლში, რომელმაც სხვადასხვა სიმღერისა თუ ტრადიციის შესახებ გვიამბო, გვიმღერა სხვადასხვა სიმღერები, ფანდურის თანხლებით. გაიხსენა საფერხულო სიმღერა *ფარცაყუკუ* და სხვა. ხოლო მასთან მოსულმა მეზობელმა, სიმონა დოლიძემ დატირება ჩაგვაწერინა.

იმავე დღეს ზემო სურებში გავემგზარეთ, სადაც კრიმანჭულის მიტყეული ქალი, ლუბა ჭკუასელი-კიკვაძე გვეულებოდა. მას შუა სურებელი მომღერლებიც ხშირად ახსენებდნენ, როგორც კარგ მომღერალსა და მოკრიმანჭულეს.

მივემართებოდით გურიის უმაღლესი სოფლისკენ და დაკლაკნილი აღმართის ყოველ მოსახვევში ბუნება ახალ-ახალ ფერებსა და საოცარ ხედებს გვთავაზობდა. ჩვენს „ჯიპს“ კი იმისთანა გზებზე მოუწია ასვლა, რომ ცოტაც და „დაიჭინებინებდა“. როგორც იქნა, მივალწიეთ ლუბა კიკვაძის ლამაზ რიკულებთან ხის ოდას, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა გადამა მთების კალთებზე გაფენილი ყანები და ვენახები.

ლუბა ბებია, სიგარეტით ხელში, კიბეზე დაგვხვდა და სახლში სიყვარულით შეგვიპატიჟა ბოხი ხმით: „მოით ბებია, მოით!“

დიდი ხვეწნა არ დაგვჭირდა, რომ სიმღერა წამოეწყო. ჩონგური და ფანდურიც გამოიტანა და რამდენიმე სიმღერა გვიმღერა. ხმის სიბოხის მიუხედავად მაღალ ბგერებსაც თავისუფლად იღებდა. კრიმანჭულიც მალე გავგაგონა აჭარული *მყრულის* მღერისას, ჩონგურის თანხლებით. ლუბა კიკვაძესთან მალე მისი მეზობლებიც შემოიკრიბნენ: მიტუშა კიკვაძე, ნანული რამიშვილი, ტარიელ კეკელიძე. მოგვიანებით, ზემო სურების გამგებელი დუხუ (ამბროსი) კიკვაძეც შემოგვიერთდა სიმღერაში. მართალია, ესენიც დიდი ხნის შეუმღერებლები ჩანდნენ, მაგრამ მაინც გაიხსენეს სხვადასხვა სიმღერა. მათგან ჩავიწყრეთ *სიმღერა დათიკო შევარდნაძეზე*, *მადლობელი*, *ძველებური მრავალჟამიერი*, *წუთისოფლის სტუმრები ვართ*, *მყრული*, *ნიგოზი* და სხვა. იქვე სუფრაც გაიშალა. ლუბა ბებია მჭურსაც ახადა თავი და გემრიელი წითელი ღვინით გავკვიმასპინძლდა...

ყველა ჩვენთაგანისთვის დაუვიწყარი არის იქ მიღებული შთაბეჭდილება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მოგზაურობაში განსაკუთრებული განცდა ჩვენი ჯგუფის ყველაზე უმცროს წევრს, ივანეს დარჩა, რომელიც, ალბათ, წლების შემდეგაც მრავალჯერ ეწვევა გურიის მთებს, ეწვევა მეგობრებითურთ, რათა ერთად დატკბენ ამ კუთხის სიმშვენიერითა და გულღია სტუმარ-მასპინძლობით. თუმცა, აქვე მიჩნდება რიტორიკული კითხვა: დახვდებათ კი მათ ის სიმღერა, რომელიც დღეს მოვისმინეთ ამ თბილი და მოსიყვარულე მოხუცებისგან?

დავით შულღიაშვილი

# ამჟამად სანთლითაა საძებარი ნამდვილი, ძველი მესხური სიმღერა

ინტერვიუ ანსამბლ მესხეთის ხელმძღვანელთან, მესხური ხალხური მუსიკის შესანიშნავ მცოდნესთან და ცნობილ ლოტბართან შოთა ალთუნაშვილთან (სამწუხაროდ, ინტერვიუს ჩაწერიდან ცოტა ხნის შემდეგ ბატონი შოთა გარდაიცვალა).

ესაუბრნენ თინათინ ჟვანია და ქეთევან მათიაშვილი

**თ. ჟ., ქ. მ.** — თუ შეიძლება, გვესაუბრეთ თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

**შ. ა.** — წარმოშობით თბილისიდან ვარ. დავიბადე 1933 წელს. კონსერვატორიის საგუნდოსადირიჟორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს, სამუშაოდ ახალციხეში გამანაწილეს (საქართველოს ისტორიული მხარის, მესხეთის მთავარ ქალაქში), სადაც დღემდე ვმუშაობ. ვხელმძღვანელობ ხალხურ გუნდს. შემოვლილი მაქვს მესხეთის უამრავი სოფელი და შეკრებილი მაქვს მრავალი სიმღერის ჩანაწერი. ზოგიერთი მათგანი დამუშავებულია ჩემს მიერ და შესაბამის ცეკვასთან ერთად ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებზე დიდი წარმატებით გვაქვს შესრულებული.

მართლაც, მესხური სიმღერები ძირითადად ცეკვის თანხლებით სრულდებოდა, კერძოდ — ფერხულები. აქ, მესხეთში, საუკუნის წინაც ძნელად მოიძებნებოდა და, განსაკუთრებით, ამჟამად სანთლითაა საძებარი ნამდვილი, ძველი მესხური სიმღერა. მესხი მოხუცები, თხოვნაზე — თუ იცით რაიმე უბრალო მესხური სიმღერა, შეგვისრულებთ-თქო, — ხშირად თათრულ და სომხურ სიმღერებს გვიმღეროდნენ, და მხოლოდ შემდეგ, როდესაც წავუძღვრებდი რამდენიმე სიმღერას (*მაძლი მუხასაო, ოთხი წყარო დის*), გვბასუხობდნენ: ეს ვიცით, კი, ძალიან ძველი სიმღერებიაო. შემდეგ უკვე სხვა სიმღერებსაც გაიხსენებდნენ და ფერხულსაც კი ჩავაბამდით ხოლმე ერთად.

**თ. ჟ., ქ. მ.** — გეგუთის სიმღერაზე რას გვეტყვით?



**შ. ა.** — ეს ერთ-ერთი გამორჩეული მესხური სიმღერაა, რომელიც ანსამბლის რეპერტუარში გვქონდა — *გეგუთისა მინდორზედა*. როგორც აღმოჩნდა, ქუთაისშიც არის სოფელი გეგუთი, რომელიც აქაური გეგუთიდან წასული ხალხით ყოფილა დასახლებული. მაგრამ იქ ამდაგვარი სიმღერა აღარ შემორჩენიათ. ეს სიმღერა შალვა მშველიძესაც აქვს ჩაწერილი. აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერას დაბალი ხმა იწყებს და მაღალ ტესიტურაში გრძელდება.

**თ. ჟ., ქ. მ.** — კიდევ რომელ სიმღერას გამოარჩევდით?

**შ. ა.** — სიმღერას *ვარძიობა-ძიობასა*. იგი ვარძიის მონასტერში მარიამობას, 28 აგვისტოს იმღერებოდა. ამ დღესასწაულზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და დროს ატარებდნენ. მარიამობას მანდილოსნები და კაცები, ხნიერები და ახალგაზრდები ფეხშიშველები ჩამოდიოდნენ. ამ დღესასწაულზე ყველა სხვა სიმღერაც იმღერებოდა, რაც კი იცოდნენ ამ მხარეში ჩამოსულმა სტუმრებმა და დამხვდურებმა. მაგრამ *ვარძიობა-ძიობა* აუცილებელი საწესო, სარიტუალო სიმღერა გახლდათ. მოლხენას ისევ *ვარძიობა-ძიობათი* ამთავრებდნენ. აქ მოსმენილსა და ჩაწერილ სიმღერებს შემდეგ გუნდში ვამზადებდით.

**თ. ჟ., ქ. მ.** — საკრავი თუ მონაწილეობდა ამ დღესასწაულში?

**შ. ა.** — მესხეთში საერთოდ ბევრი საკრავი არ ყოფილა გავრცელებული. მე მასხოვს გუდასტერი, აჭარაში რომ ჭიპონს ეძახიან. მე თვითონ არ ვუკრავდი, მაგრამ მასხოვს... ფანდური არ იცოდნენ, ყოველ შემთხვევაში მე რომ ჩამოვედი, არ შემხვედრია. ახალი სისტემის (იგუ-

ლისხმება ქრომატიული წყობა – ნ.ნ.) საკრავები კი დამხვდა, მაგრამ ძველი – არაფერი. ჭიპონზე საცეკვაოები აქ ჩემ დროს აღარ იცოდნენ.

**თ. ჟ., ქ. მ.** – თუ გახსოვთ თულუმის კონსტრუქცია (მესხური ჭიპონი, გუდასტვირი – ნ.ნ.) ან თვლების რაოდენობა?

**შ. ა.** – როგორ არა, სულ შვიდი თვალი ჰქონდა. ერთი დიდი ლულა ჰქონდა (ზოგს ორი) და ორი დედანი ჰქონდა ჩადებული. მე მახსოვს, ადრე გვიმღერეს თხრობითი ხასიათის სიმღერა ერეკლე მეორეზე. ეს იყო ბალადა, თურქები რომ შემოგვესივნენ, იმ პერიოდზე. ამ სიმღერას სტვირი, გუდასტვირი ახლდა.

**თ. ჟ., ქ. მ.** – თვითონ გუდასტვირზე რაც უღერდა, ცალხმინი იყო?

**შ. ა.** – არა, ორი ხმაც უღერდა, ტერციაში. აი, როგორც, მაგალითად, ორ სალამურზე უკრავენ ახლა.

**თ. ჟ., ქ. მ.** – ბატონო შოთა, რას გვეტყვით მესხურ სიმღერებში სამხმინობის შესახებ? ჩვენ ვიცით, რომ უშუალოდ, რეკონსტრუირების გარეშე ჩაწერილი მესხური სამხმინი სიმღერები დიდი იშვიათობაა.

**შ. ა.** – გეთანხმებით. მაგრამ როდესაც მოხუცები შეგვკრიბეთ და ვკითხეთ, – აბა ახლა ამ სიმღერას ბანს თუ ეტყოდითო, გვითხრეს: რომელსა, დამჯდარსაო? (ასე ეძახდნენ ადრე დაბალ ბანს, საორღანო პუნქტს) და ძლივს გაიხსენეს ეს მოტივი. ჩვენ ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვიწერდით. ამ სიმღერებს, შესანიშნავი მესამე ხმა აქვთ.

ჩვენთან ასევე მღეროდნენ *ოროველებს*, სუფრულ სიმღერებს. აქ 300 წელი ხომ თურქები იჯდნენ და აბა ბევრს რას დაგიტოვებდნენ. როდესაც მოხუცებს ვთხოვდით, რაიმე წაგვიღიინეთ, ჩაწერა გვინდა-თქო, ერთმა გვიპასუხა: – ეე, შვილო, რა გვემღერებოდა, ისეთი ცუდი დრო იყო, დილას რომ ჩავიდოდით და ქრისტეს ვილოცებდით, სალამოს მაჰმადს გვალოცებდნენო და წაიმღერა: „მეფე ჩამოჯდა ხანდოსა, ხან მაწონს სჭამდა, ხან დოსა“ (ხანდო სოფელია მესხეთში). აი, ასეთი მძიმე დრო ყოფილა.

სხვა ბევრი მესხური სიმღერაცაა საინტერესო... აი, მაგალითად *ოთხი წყარო დის*. როდესაც ეს სიმღერა ჩავწერე, მომღერლებმა მითხრეს: „აქ ოთხი მხარე იგულისხმება: აღმოსავ-

ლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი“. შესაძლოა, ოთხ სახარებასთან შედარებაც იგულისხმებოდეს. ეს *ოთხი წყარო ნაწილ-ნაწილ* იყო მოღწეული, ჩვენ შევაკოწიწეთ. ამ სიმღერას ყველა სხვა სიმღერის შემდეგ ასრულებდნენ, როგორც *მრავალჟამიერს*.

იმღერებოდა აგრეთვე სიმღერა *ავთანდილ გადინადირა* – საქართველოს სხვა კუთხეებშიც, უფრო მეტად კი – ქართლ-კახეთში ცნობილი სიმღერა, რომლის ვარიანტი ოპერა *აბესალომ და ეთერშია* გამოყენებული. მაგრამ აქ ეს სიმღერა, ქართლ-კახურისგან განსხვავებით, სულ სხვა რიტმსა და ფერში იყო დახატული.

იყო სახასიათო სიმღერებიც, მაგალითად: *ჩიტის ნალი მიპოვნია*, რომელიც პურმარილზე იმღერებოდა. მღეროდნენ სხვა სახუმარო სიმღერებსაც... ისეთი მაღალი დონის სუფრული სიმღერები, როგორც ქართლ-კახეთშია, რა თქმა უნდა, მესხეთში არაა, ბევრი ვეძებთ მაგრამ...

**თ. ჟ., ქ. მ.** – საერთოდ მესხურ სიმღერებში, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო რიტმული მხარე.

**შ. ა.** – დიახ, მესხეთში ძალიან ხშირია სინკოპირებული რიტმი. *ავთანდილ გადინადირაც* აქ ასეთ რიტმში იმღერება.

**თ. ჟ., ქ. მ.** – მესხურ *მრავალჟამიერზე* რას გვეტყვით?

**შ. ა.** – ეს ცოტა გვიანი შემოსულია... ჩვენ ვასრულებთ *ოთხი წყაროს* ჰანგზე.

**თ. ჟ., ქ. მ.** – თქვენ თქვით, რომ მესხური სიმღერების უმეტესობა ცეკვის თანხლებით სრულდებოდა, თქვენ ჩამოთვლილ სიმღერებსაც ახლდა ცეკვა?

**შ. ა.** – დიახ, *ოთხი წყაროს* გარდა, ყველას ფერხული და ცეკვა ახლდა. მაგალითად, *ავთანდილ გადინადირა* 3\ 4 ზე 6\ 8 ზე მიდიოდა და კარგი *ჩაკრულებით* გვქონდა გაკეთებული, ცეკვებით. *ჩაკრულს* ვეძახდით იმის გამო, რომ ცეკვისას ერთმანეთს *ჩაეკვრებოდნენ*. სიმღერა *ჩაკრულოსაც* სახელი, შეიძლება, ამის გამო ჰქვია.

**თ. ჟ., ქ. მ.** – თქვენ მესხეთის ბევრ ქალაქში გიწვევდათ გუნდის ხელმძღვანელად მუშაობა. თუ არის ადიგენის, ასპინძის, აწყურის მოსახლეობის ხალხურ შესრულებას შორის რაიმე განსხვავება?

**შ. ა.** — მესხეთში მრავლადაა ჩამოსახლებული ხალხი. მაგალითად ადიგენში. ჯავახეთში არის ასპინძა, ახალქალაქი... აი, აქ ორი სოფელია: უდე და არალი. იქ მაქვს ერთი ასეთი სიმღერა ჩაწერილი — *სამყრელი*, სრულდება სამი *ასყრელის* (სამსართულიანი) ფერხულით. როგორც მითხრეს, ეს ყოფილა დაზვერვის სიმღერა, აიყვანდნენ ერთმანეთს მხრებზე და დაათვალიერებდნენ, მტრები ხომ არ იყვნენ შემოსულები სადმედან.

**თ. ჟ., ქ. მ.** — ბატონო შოთა, როგორც მესხური სიმღერების კარგი მცოდნე, რითი გამოარჩევდით მესხურ სიმღერებს სხვა კუთხის სიმღერებისგან?

**შ. ა.** — იცით რა, მესხური სიმღერები უმთავრესად სინკოპირებულ რიტმშია მოცემული. ესაა მისი სახასიათო თვისება. კიდევ ის, — რომ მეორე-მესამე ხმა, მაინც გვიანაა „მიკერებული“, ადღგენილი. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება ოროველებს, გუთნურებს, რომლებიც ისედაც ერთ ხმაში სრულდება.

**თ. ჟ., ქ. მ.** — საგალობლებთან თუ გქონიათ შეხება?



**შ. ა.** — როგორ არა, ახალგაზრდობაში თბილისის სიონის ტაძარში ვგალობდი. შემდეგში, აქ რომ ჩამოვედი, დიდი პრობლემები გვქონდა, კომუნისტების პერიოდი იყო, 70-იანი წლები, მაგრამ მე მაინც ვაკეთებ გუნდი, რომელსაც საგალობლებს თბილისიდან წამოღებულ კარბელაშვილების კრებულიდან ვაგალობებდი.

**თ. ჟ., ქ. მ.** — ვინ იყო მაშინ სიონის ტაძრის გუნდის ხელმძღვანელი და თუ იყო უკვე დამკვიდრებული ქალთა და კაცთა შერეული გუნდის პრაქტიკა?

**შ. ა.** — ეს იყო 1953-55-იანი წლები. თბილისში გუნდი ჩემი ლექტორის, გიორგი ხახანაშვილის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა. ეს გუნდი შემდეგ მე გადმომაბარა. ჩვენ დროს ქალები და კაცები ეკლესიაში ცალ-ცალკე გუნდად იდგნენ და ამაში იყო შესრულების მთელი სილამაზე.

**თ. ჟ., ქ. მ.** — მადლობას მოგასხენებთ საუბრისათვის.

**დასაბეჭდად მოამზადა ნინო ნანეიშვილმა**

ერთი ქართული ხალხური სიმღერა

ნოტებზე გადაიღო  
მალხაზ ერქვანიძემ

ალილო  
Alilo

$\text{♩} = 110$

შო - ბა  
Sho - ba

ა - ი - ა - ლი - ლო  
a - i - a - li - lo

და  
da

შო - ი - ი - ბა ღმე - რთმა და  
Sho - i - o - o - i - o - ba ghme - rtma da

გა - გვი - თე - ნოს და ა - ლი - ლო - ი - ლო  
ga - gvi - te - nos da a - li - lo - i - o -

(ო) და ა და ა - ი - ა - ლი - ლო  
(o) da ai da a - i - a - li - lo.

შობა-ახალ წელიწადი  
ოცდახუთსა ამ თვესა  
ინებოს ღმერთმა / აქ თქვენი სიცოცხლე

Shoba-akhali tselitsadi  
Ocdakhutsa am tvesa  
Inebos ghmertma / ak tkqveni sicockhle